ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 196

18 მაისი
"---" -------- 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრო/რაიონში (ს/კ: №01.11.12.002.061.01.501) არსებული 469.73 კვ.მ ფართიდან 170.56 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია"-სთვის (ს/კ: 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6, მე-8, მე-9 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრორაიონში (ს/კ: №01.11.12.002.061.01.501) არსებული 469.73 კვ.მ ფართიდან 170.56 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია"-სთვის (ს/კ: 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 აპრილის №21.562.604 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრო/რაიონში მდებარე შენობა-ნაგებობა №1-ის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.002.061.01.501) მეორე სართულზე არსებული 469.73 კვ.მ. ფართიდან 170.56 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირ „ია"-სთვის (ს/კ: 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დღის ცენტრის განთავსების მიზნით, არაუგვიანეს 2021 წლის 31 აგვისტოსი არანაკლებ 20 000 (ოცი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელების პირობით.

2. უსასყიდლო უზუფრუქტის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 28 ნოემბრამდე.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე